„დამტკიცებულია"
სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური
საბჭოს სხდომაზე ოქმი #6
დადგენილება #30, 13.03.2018 წ.
საბჭოს თავმჯდომარე---------- მ.ბერიძე

საბაკალავრო ნაშრომის შემუშავების ინსტრუქცია და შეფასების კრიტერიუმები

I. საბაკალავრო ნაშრომი

სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში საბაკალავრო პროგრამების გარკვეული ნაწილი ითვალისწინებს საბაკალავრო ნაშრომის მომზადებას. საბაკალავრო ნაშრომი წარმოადგენს ერთგვარ შემაჯამებელ სამუშაოს, რითაც მოწმდება სპეციალობის სფეროში სტუდენტის ცოდნა - თეორიებისა და პრინციპების კრიტიკული გააზრება და კომპლექსური საკითხების გაცნობიერება, კვლევითი ან პრაქტიკული ხასიათის პროექტის განხორციელების უნარი, მოპოვებული ინფორმაციის ანალიზისა და დასკვნის ჩამოყალიბების უნარი, არსებული პრობლემების ხედვის და შეფასების შესაძლებლობები, გადაჭრის გზების შესახებ წერილობითი ანგარიშის მომზადების და დროის მართვის უნარი, აკადემიური კეთილსინდისიერება.
ეს შეიძლება იყოს თეორიული (ან ექსპერიმენტული) სამუშაო ან საბაკალავრო კვლევითი პროექტი / ნაშრომი.

II. ნაშრომის ხელმძღვანელი

საბაკალავრო ნაშრომის ხელმძღვანელი შიძლება იყოს აკადემიური თანამდებობის მქონე ნებისმიერი პირი - პროფესორი, ასოცირებული პროფესორი, ასისტენტ-პროფესორი ან მოწვეული დოქტორი. ხელმძღვანელი ვალდებულია დაეხმაროს სტუდენტს თემის შერჩევაში, გეგმის შედგენასა და ბიბლიოგრაფიის დამუშავებაში, ეტაპობრივად შეამოწმოს თემაზე მუშაობის პროცესი, გამოთქვას შენიშვნები და დაეხმაროს ავტორს მის კორექციაში.

ერთი პირი შეიძლება ხელმძRვანელობდეს მაქსიმუმ 5 საბაკალავრო ნაშრომს..

III. პროცედურა

საბაკალავრო ნაშრომის შესრულების პერიოდი მოიცავს საგაზაფხულო სემესტრს სააუდიტორიო მეცადინეობების დასრულებამდე.

VII სემესტრის დაწყებიდან არაუგვიანეს მეათე კვირისა ფაკულტეტის საბჭოზე მტკიცდება საბაკალავრო ნაშრომების თემატიკა. ამავე სემესტრში სტუდენტი ირჩევს თემას (სტუდენტს შეუძლია შესთავაზოს მისთვის საინტერესო საბაკალავრო თემა) და ხელმძღვანელს, რისთვისაც განცხადებით მიმართავს შესაბამისი ფაკულტეტის დეკანს.

ხელმძღვანელის წერილობითი თანხმობის შემთხვევაში ფაკულტეტის საბჭო იღებს შესაბამის დადგენილებას.

საბაკალავრო ნაშრომი ფასდება 100 - ქულიანი სისტემით. შუალედური შეფასება ხდება ხელმძღვანელის მიერ და მისი წილი განისაზღვრება 60 ქულით. ხელმძღვანელის შეფასების მინიმალური კომპეტენციის ზღვარია 30 ქულა.

საბაკალავრო ნაშრომის დაცვა უნდა მოხდეს საგაზაფხულო სესიების დასრულების შემდეგ. სტუდენტის მიერ მომზადებული საბაკალავრო ნაშრომი დაცვამდე არაუგვიანეს ხუთი კვირით ადრე უნდა ჩაბარდეს შესაბამის დეკანატს. დეკანატი ხელმძღვანელის მიერ დადებითი შეფასების საფუძველზე ნაშრომს გადასცემს ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს.

ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ამოწმებს ნაშრომის შესაბამისობას ინსტრუქციასთან და ინსტრუქციასთან შესაბამისობის შემთხვევაში სტუდენტს ეძლევა 2 დღის ვადა ნაშრომის Moodle პროგრამაში ასატვირთად პლაგიატზე შემოწმების მიზნით. **სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში პლაგიატის დამდგენი კომისია ათი დღის ვადაში ამოწმებს ნაშრომებს პლაგიატის წესის შესაბამისად. პლაგიატის არარსებობის შემთხვევაში** სტუდენტს ეძლევა დადებითი დასკვნა ნაშრომის საჯარო დაცვისათვის.

საბაკალავრო ნაშრომების საჯარო დაცვისათვის ფაკულტეტი ქმნის დარგობრივ კომისიებს. კომისიის შემადგენლობას განსაზღვრავს ფაკულტეტის საბჭო. იგი უნდა შედგებოდეს არანაკლებ 3 წევრისაგან. ნაშრომის საჯარო დაცვისას მაქსიმალური შეფასება განისაზღვრება 40 ქულით. მინიმალური კომპეტენციის ზღვარია 21 ქულა. შუალედური და დასკვნითი - საჯარო დაცვისას მიღებული შეფასებები იკრიბება. და მიღებული შეფასება აღინიშნება დიპლომის დანართში.

IV. საბაკალავრო ნაშრომის გაფორმების წესი

1. საბაკალავრო ნაშრომის მოცულობა არ უნდა იყოს A4 ზომის 25 გვერdzე ნაკლები. ტექსტი აკრეფილი უნდა იყოს შრიფტით Sylfeen , (დანართები (სქემები...) შრიფტით Acadnusx,) ძირითადი ნაწილის ზომა 12, სათაურები და ქვესათაურები-ზომა 16-14; სტრიქონებს შორის მანძილი-1,5 ინტერვალი. გვერდის ველები ყველა მხრიდან 2 სმ.
2. საბაკალავრო ნაშრომის სტრუქტურაში გათვალისწინებული უნდა iyos შემდეგი კომპონენტები:

ა) თავფურცელი - წარმოადგენს საბაკალავრო ნაშრომის პირველ გვერდს. (თავფურცელი უნდა გაფორმდეს შემდეგნაირად. თავფურცლის ზემო ნაწილში მიეთითება უნივერსიტეტის სრული დასახელება: ,,სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი'', შემდეგ ფაკულტეტის დასახელება (შრიფტი: sylfaen 12, Bold), შემდეგ ბაკალავრის სახელი და გვარი (შრიფტი: sylfaen 16, Bold), შუა ნაწილში საბაკალავრო ნაშრომი, საბაკალავრო თემის სრული სათაური (შრიფტი: sylfaen 18, Bold), სათაურის ქვემოთ, მარჯვენა მხარეს სტუდენტის ხელმძღვანელის სახელი, გვარი, სამეცნიერო ხარისხი, აკადემიური წოდება (შრიფტი: sylfaen 14, Bold), თავფურცლის ქვედა ნაწილში აღინიშნება დაცვის ადგილი (ახალციხე) და დაცვის დრო (წელი) (შრიფტი: sylfaen 12, Bold).

ბ) სარჩევი - (შესავალი, ნაშრომის თავები და პარაგრაფები..... გვერდების მითითებით);

გ) შესავალი - ნაშრომის ზოგადი ნაწილია, რომელშიც უნდა აისახოს არჩეული თემის აქტუალობის დასაბუთება, მიზნები და დასმული ამოცანის (ამოცანების) შინაარსი, საკვლევი საგანი და გამოყენებული მეთოდები (ექსპერიმენტული კველევის შემთხვევაში);

დ) ტექსტის ძირითადი ნაწილი - შეიძლება დაიყოს თავებად (და პარაგრაფებად);

ე) **დასკვნა**-წარმოადგენს საბაკალავრო ნაშრომის შედეგების ამსახველ ნაწილს, რომელმაც უნდა უპასუხოს ყველა იმ ამოცანას, რომელიც სტუდენტს გამოაქვს საჯარო დაცვაზე;

ვ) გამოყენებული ლიტერატურის და წყაროების მითითება:

მითითების სტილი: საბაკალავრო ნაშრომის ტექსტში ციტირებული წინადადებისა თუ აბზაცის შემდეგ მრგვალ ფრჩხილებში უნდა დაისვას ინდექსი, სადაც მიეთითება ავტორის ვინაობა, ნაშრომის გამოცემის წელი და შესაბამისი გვერდი, მაგ.: (თაყაიშვილი, 1920: 23).

საბაკალავრო ნაშრომში გამოყენებული ლიტერატურის და წყაროების ჩამონათვალი უნდა მიეთითოს შემდეგნაირად: ქართულ ენაზე ჯერ იწერება ავტორის გვარი, მძიმე, ტირე და შემდეგ დედნის ენაზე სრული დასახელება. ლიტერატურა და წყაროები ლაგდება ანბანთრიგზე.

წიგნი ერთი ავტორით –

კეკელიძე, 1987 -კეკელიძე კ., ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია (V-XVIII სს.), თბ., 1987;

უსპენსკი, 2001 - Успенский Ф., История Византийской Империи, т. 2, М., 2001;

სეისი, 1882 - Sayse A. H., The Cuneiform Inscriptions of Van, part 7, JRAS 14, 1882.

წიგნი ორი ან მეტი ავტორით –

მეფისაშვილი..., 1989 - მეფისაშვილი რ., თუმანიშვილი დ., ბანას ტაძარი, თბ., 1989

რედაქტირებული ან შედგენილი წიგნი -

ქრონიკები, 1897 - ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა და მწერლობისა, შეკრებილი, ქრონოლოგიურად დაწყობილი და ახსნილი თ. ჟორდანიას მიერ, წ. 2, ტფ., 1897;

თაყაიშვილი, 1913 - ძველი საქართველო, ტ. II, რედ.ექ. თაყაიშვილი, ტფ., 1913.

სტატია ჟურნალიდან ან გაზეთიდან –

შანიძე, 1962 - შანიძე აკ., ბასილი ეზოსმოძღვრისი სტორიული თხზულების ერთი შერყვნილი ადგილის გამართვისათვის, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, 1962, ტ. 99.

საგაზეთო სტატია ავტორისა და სათაურის გარეშე –

ივერია, 1897 - გაზ. „ივერია", ტფილისი, 1897, #2.

საენციკლოპედიო ან ქრესტომათიული სტატია –

შოშიაშვილი, 1975 - შოშიაშვილი ნ., აბუსერისძენი, ქსე, ტ. 1, თბ., 1975;

სილოგავა, 2001 - Силогава В., Анисская Эпархия, Православная Энциклопедия, т. II, М., 2001.

საისტორიო წყარო –

ბასილი ეზოსმოძღვარი, 1959 - ბასილი ეზოსმოძღვარი, ცხოვრება მეფეთ-მეფისა თამარისი, ქართლის ცხოვრება, ტ. II, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბ., 1959;

ჟამთააღმწერელი, 1987 - ჟამთააღმწერელი, ასწლოვანი მატიანე, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა რევაზ კიკნაძემ, თბ., 1987.

ხელნაწერთა აღწერილობა –

A ფონდის აღწერილობა, 1973 - ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, ყოფილი საეკლესიო მუზეუმის (A) კოლექციისა, ტ. II, ელ. მეტრეველის რედაქციით, თბ., 1973;

S ფონდის აღწერილობა, 1959 – ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, ყოფილი ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების (S) კოლექციისა, ტ. I, ელ. მეტრეველის რედაქციით, თბ., 1959.

ერთი ავტორის ერთსა და იმავე წელს გამოცემული რამდენიმე წიგნი-

კაკაბაძე, 1921ა - კაკაბაძე ს., დასავლეთ საქართველოს საეკლესიო საბუთები, წ. 1, ტფ., 1921;

კაკაბაძე, 1921ბ - კაკაბაძე ს., დასავლეთ საქართველოს საეკლესიო საბუთები, წ. 2, ტფ., 1921.

ციფრული წიგნის დამოწმება ხდება ნაბეჭდი წიგნის მითითებისთვის არსებული წესებით. სტანდარტული ელემენტების გარდა ბიბლიოგრაფიაში ინტერნეტში განთავსებული წიგნებისთვის უნდა მიეთითოს URL მისამართი და წვდომის თარიღი. გასათვალისწინებელია, რომ მხოლოდ URL მისამართი არ არის საკმარისი; დაურთეთ მაქსიმალური ინფორმაცია გამოცემის შესახებ, რათა მკითხველს შეეძლოს წყაროს მოძებნა იმ შემთხვევაშიც კი, თუ URL მისამართი შეიცვლება. თუ გვერდის ნომრები არ არის აღნიშნული, ციტირებული მონაკვეთის ადგილმდებარეობა მიუთითეთ აღწერილობითად, მაგ. წამძღვარებული ქვესათაურით.

ა.: სახელი გვარი, სათაური, გამოცემის ნომერი (გამოცემის ადგილი: გამომცემელი, წელი), ქვესათაურის „ქვესათაური“ ქვეშ, URL მისამართი (წვდომის თარიღი).

სამორა, 2000 - Julian Samora, and Patricia Vandel Simon, A History of the Mexican-American People, rev. ed. (East Lansing, MI: Julian Samora Research Institute, Michigan State University, 2000), **under "Civil War in mexico,"** http://www.jsri.msu.edu/museum/ pubs/MexAmHist/ chapter14.html#six (19.12.2005).

ბ.: გვარი, სახელი. სათაური. გამოცემის ნომერი. გამოცემის ადგილი: გამომცემელი, წელი. URL მისამართი (წვდომის თარიღი).

Samora, 2000 - Samora Julian, and Patricia Vandel Simon. A History of the Mexican-American People.Rev. ed. East Lansing, MI - Julian Samora Research Institute, Michigan State University, 2000. http://www.jsri.msu.edu/museum/pubs/MexAmHist/chapter14.html#six (19.12.2005).

სხვა ელექტრონულ ფორმატში გამოქვეყნებული (მაგ.: CD-ROM, Microsoft Reader e-book) წიგნების მითითებისას უნდა მიეთითოს წიგნის ფორმატიც.

ა.: სახელი გვარი, სათაური (გამოცემის ადგილი: გამომცემელი, წელი), წიგნის ფორმატი.

თომასი, 2001 - Thomas, 2001 - Thomas H. Davenport and John C. Beck, The Attention Economy: Understanding the New Currency of Business (Cambridge, MA - Harvard Business Scholl Press, 2001), **TK3 Reader e-book.**

ბ.: გვარი, სახელი. სათაური. გამოცემის ადგილი: გამომცემელი, წელი. წიგნის ფორმატი.

ჰელმანი, 2004 - Hellman, 2004 - **2004** - Hellman, Hal. Great Feuds in Technology - Ten of the Liveliest Disputes Ever. New York: John Wiley, 2004. **Rocket e-book.**

შესაძლებელია ინტერნეტ წყაროები შევიდეს ლიტერატურისა და წყაროების საერთო ჩამონათვალში ან გაკეთდეს ცალკე ჩამონათვალი (მაგალითად, ლიტერატურისა და წყაროთა ჩამონათვალის შემდეგ).

ილუსტრაციების წარმოდგენის ინსტრუქცია

ილუსტრაციები (სქემები, დიაგრამები, ცხრილები, სურათები, რუკები, ავტოგრაფიული ჩანახატები და სხვ.) წარმოდგენილი უნდა იყოს ტექსტში ჩასმული ან ცალკე ფაილის სახით.

ილუსტრაციები უნდა წარმოადგინოთ შემდეგ ფორმატში:

EPS (ან PDF): დიაგრამები, ცხრილები და სქემები, ყველა გამოყენებული ფონტით;

TIFF (ან JPEG): ფერადი და შავ-თეთრი ფოტოსურათი, რუკები, გაფართოება მინიმუმ 300 dpi;

TIFF (ან JPEG): შავ-თეთრი გრაფიკული ნახატი, ავტოგრაფიული ჩანახატი, გაფართოება მინიმუმ 1000 dpi;

TIFF (ან JPEG): კომბინირებული (ფერადი და შავ-თეთრი) სურათი, გაფართოება მინიმუმ 500 dpi.

ტექსტში გამოყენებული ილუსტრაციები თანმიმდევრულად დაინომროს. თითოეულ ილუსტრაციას უნდა ჰქონდეს წარწერა. წარწერები დაიწეროს ცალკე და არა ილუსტრაციაზე. წარწერა უნდა შეიცავდეს სათაურს და მოკლე აღწერას, მაგრამ განმარტეთ ყველა გამოყენებული სიმბოლო და აბრევიატურა. თავი აარიდეთ ვერტიკალურ მწკრივებს;
ილუსტრაციებზე წარწერისათვის გამოიყენეთ **Sylfaen** შრიფტი. შრიფტის ზომა უნდა იყოს არანაკლებ 9. ილუსტრაციების წარწერები შესაძლებელია იყოს დახრილი შრიფტით;
შესაძლებელია ილუსტრაციები ტექსტში მხოლოდ დაინომროს, ხოლო გამოყენებული ლიტერატურის შემდეგ დაერთოს ჩამონათვალი შესაბამისი განმარტებებით;
თუ ილუსტრაციები (სქემები, დიაგრამები, ცხრილები, სურათები, რუკები, ავტოგრაფიული ჩანახატები და სხვ.) დასკანერებულია წიგნიდან, უნდა მიეთითოს წიგნის სრული დასახელება. ასევე, თუ ილუსტრაცია გადმოღებულია ინტერნეტიდან, უნდა მიეთითოს სრულყოფილად, როგორც ეს მინიშნებულია ლიტერატურის დამოწმების წესში. ასეთ შემთხვევაში ილუსტრაციის ხარისხი უნდა აკმაყოფილებდეს მოთხოვნილ ფორმატს;
ტექსტში ჩართული ილუსტრაცია არ შეიძლება გაყოფილი იყოს გვერდიდან გვერდზე გადასვლისას;
ცალკე ფაილად წარმოდგენილი ილუსტრაციის ზომა არ უნდა აღემატებოდეს A4 ფორმატს;

- ❖ ტექსტში ზომა-წონის ერთეულები წარმოდგენილი უნდა იყოს **სი** სისტემით (**ერთეულთა საერთაშორისო სისტემა**, ან შემოკლებით **SI** -ფრანგ. Système international d'unités, SI). წყაროში სხვა ზომა-წონის ერთეულის დასახელების შემთხვევაში, იქვე, მრგვალ ფრჩხილებში ან სქოლიოში უნდა მიეთითოს **სი** სისტემის შესაბამისი ზომა-წონის ერთეული.
- ❖ წელთაღრიცხვისათვის უნდა გამოიყენოთ გრიგორიანული სტილი. წყაროებში სხვა კალენდარული სისტემების თარიღების დასახელების შემთხვევაში, მრგვალ ფრჩხილებში ან სქოლიოში უნდა მიეთითოს გრიგორიანული კალენდრის შესაბამისი თარიღი. ქრისტეს შობამდე მოვლენების დათარიღებისათვის უნდა გამოიყენოთ პეტავიუსის სისტემა ნულოვანი წლის გარეშე (მაგ.: „ძველი წელთაღრიცხვით“; „ჩვენს წელთაღრიცხვამდე“; „ქრისტემდე“).

3. ნაშრომი უნდა აიკინძოს შემდეგი თანმიმდევრობით:

თავფურცელი
სარჩევი
შესავალი
თავები
დასკვნა
გამოყენებული დანართები (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

4. საბაკალავრო ნაშრომის ნუმერაცია

ნუმერაცია იწყება სატიტულო თავფურცლიდან (გვერდიდან), თუმცა სატიტულო თავფურცელზე არ დაისმება ციფრი 1. ციფრი 2 დაისმება მეორე გვერდზე ,,სარჩევი''. რაც შეეხება მთელ ტექსტს, მთელ ტექსტში ნუმერაცია დაისმება ფურცლის ბოლოს, მარჯვენა კუთხეში.

V. **საბაკალავრო ნაშრომის დაცვაზე დაშვების წინაპირობაა პროგრამის სავალდებულო კრედიტების სრულად ათვისება და ხელმძღვანელის შეფასებაში მინიმალური კომპეტენციის ზღვარის დაძლევა.**

VI. **ნაშრომის საჯარო დაცვის რეგლამენტი განისაზღვრება არაუმეტეს 15 წუთისა.**

VII. **დაცვაზე თუ სტუდენტი ჩაიჭრა (მიიღო 21 ქულაზე ნაკლები), ან დააგროვა 41-50 ქულა, ბაკალავრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად სტუდენტს უფლება აქვს შესწორებული იგივე ნაშრომი წარადგინოს განმეორებით დაცვაზე 10 დღის შემდეგ. თი სტუდენტი დააგროვებს 40 და ნაკლებ ქულას მას უფორმდება F შეფასება, იმავე ნაშრომის წარდგენა დაუშვებელია. სტუდენტი უფლებამოსილია მომდევნო ერთი წლის განმავლობაში შეასრულოს ახალი საბაკალავრო ნაშრომი და იმავე პროცედურით გაიტანოს ის კომისიის მუშაობის პერიოდში საჯარო დაცვაზე.**

VIII. საბაკალავრო ნაშრომის შეფასების კრიტერიუმები:

საბაკალავრო ნაშრომი ფასდება 100- ქულიანი სისტემით.

<u>**შუალედური შეფასება**</u>

60 ქულა - თემის ხელმძღვანელი

- **საბაკალავრო ნაშრომზე მუშაობის უნარი**
  მოწმდება
  - ✓ რეკომენდირებული ლიტერატურის დროულად მოძიება და დამუშავების ხარისხი - 5 ქულა;
  - ✓ კონსულტაციების მიმართ სტუდენტის პუნქტუალობა - 5 ქულა.

- **შინაარსი (მაქსიმუმ 15 ქულა).**

მოწმდება:
- ✓ პრობლემის აქტუალობა, მიზნის გამოკვეთა, ზუსტი, კონკრეტული და კომპლექსური არგუმენტაცია - **5 ქულა;**
- ✓ ძირითად საკვლევ საკითხებზე კონცენტრირება - **5 ქულა;**
- ✓ დამოუკიდებელი აზროვნების უნარი **- 5 ქულა.**

- **ანალიზის უნარი და მსჯელობა (მაქსიმუმ 15 ქულა).**

მოწმდება:
- ✓ საკვლევი საკითხის ამომწურავად შესწავლა - **5 ქულა;**
- ✓ ავტორის პოზიციის გამოკვეთა, ავტორის მიერ ყველა იდეის განვითარება **- 5 ქულა;**
- ✓ სტატიის ლოგიკური ორგანიზება (თანამიმდევრული მსჯელობა, არგუმენტირებული დასკვნები) **- 5 ქულა**

- **მონაცემთა სარწმუნოობა (მაქსიმუმ 10 ქულა).**

მოწმდება:

- ✓ მონაცემების სისწორე, დამოწმებული წყაროს სანდოობა და მათი ბიბლიოგრაფიაში ასახვა - **5 ქულა;**
- ✓ დამოწმებული ლიტერატურის საკმარისობა, მონაცემთა პირველწყაროდან მომდინარეობა, ციტატების ორგანული კავშირი ტექსტთან - **5 ქულა;**

- **სტრუქტურული და ტექნიკური გამართულობა (10 ქულა)**

მოწმდება:

- ✓ ენობრივი გამართულობა - **5 ქულა;**
- ✓ ნაშრომის გაფორმების ხარისხი და სტრუქტურული გამართულობა - **5 ქულა.**

<u>დასკვნითი შეფასება</u>

40 ქულა - საფაკულტეტო დარგობრივი კომისიის თითოეული წევრი აფასებს თითოეული სტუდენტის საბაკალავრო ნაშრომის პრეზენტაციას შემდეგი სქემის მიხედვით

- **შინაარსი, ანალიზისა და მსჯელობის უნარი (მაქსიმუმ 10 ქულა).**

მოწმდება:

- ✓ პრობლემის აქტუალობა, ძირითად საკვლევ საკითხებზე კონცენტრირება, საკვლევი საკითხის ამომწურავად შესწავლა - **5 ქულა;**
- ✓ ავტორის პოზიციის გამოკვეთა, დამოუკიდებელი აზროვნების უნარი - **5 ქულა.**

- **მონაცემთა სარწმუნოობა (მაქსიმუმ 10 ქულა).**

მოწმდება:

- ✓ მონაცემების სისწორე, დამოწმებული წყაროს სანდოობა და მათი ბიბლიოგრაფიაში ასახვა - **5 ქულა;**
- ✓ მონაცემთა პირველწყაროდან მომდინარეობა, ციტატების ორგანული კავშირი ტექსტთან - **5 ქულა;**

- **სტრუქტურული და ტექნიკური გამართულობა (10 ქულა)**

მოწმდება:

- ✓ მასალის გადმოცემის ენობრივი მართებულობა - **5 ქულა;**
- ✓ ნაშრომის გაფორმების ხარისხი და სტრუქტურული გამართულობა - **5 ქულა.**

- **პრეზენტაცია (10 ქულა)**

  მოწმდება:

  - ✓ კამათისა და დაცვის უნარი (დასმულ კითხვებზე, შენიშვნებზე და რეკომენდაციებზე გაცემული პასუხების სიზუსტე და სიღრმისეულობა) - **5 ქულა**
  - ✓ საპრეზენტაციო ტექნოლოგიის ფლობა, პრეზენტაციის ორგანიზება, მიწოდება - **5 ქულა**

საფაკულტეტო დარგობრივი კომისიის თითოეული წევრი თითოეულ სტუდენტის პრეზენტაციას აფასებს დამოუკიდებლად. გამოითვლება საშუალო არითმეტიკული და ემატება ხელმძღვანელის შეფასებას.